პროლეტარებო ყველას ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი
№ 78 (10164)

შაბათი, 2 აპრილი, 1955 წ.

ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

ინდონეზიის ცნობილ საზოგადო მოღვაწეს პროფესორ პრიიონოს გადაეცა მშვიდობის საერთაშორისო სტალინური პრემია (1-ლი გვერდი).

საქართველოს მშრომელები ერთსულოვნად აწერენ ხელს ატომური ომის საფრთხის წინააღმდეგ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს მიმართვაზე (1-ლი გვერდი).

უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს საგანგებო სხდომა. — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ **კ. ე. ვოროშილოვის** სიტყვა. უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ **ა. ი. კირიჩენკოს** სიტყვა (მე-2 გვერდი).

კიევის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს სესიაზე. — ქალაქ კიევს [illegible] ნი. ამხანაგ **კ. ე. ვოროშილოვის** სიტყვა (მე-2 გვერდი).

შილდის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის განვითარების პერსპექტივები (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

სახალხო მეურნეობის აღმავლობის მთავარი პირობა

დიადი საბჭოთა ქვეყნის მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშაკებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი სახელოვანი მაგნიტოგორსკელი მეტალურგებისა და სტალინოელი მეშახტეების პატრიოტულ თაოსნობას მეტი ლითონისათვის, მეტი ქვანახშირისათვის მასობრივი სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ. ამ შეჯიბრებაში სულ უფრო ფართოდ ებმებიან მეტალურგიული, სამთამადნო, ლითონდამმუშავებელი და მრეწველობის სხვა დარგების მოწინავე საწარმოთა კოლექტივები, რომლებიც თავიანთ ხმას უერთებენ მსოფლიოს ყველა მშვიდობისმოყვარე ადამიანთა ხმას მშვიდობის შესანარჩუნებლად, ატომური ომისაგან კაცობრიობის დასაცავად.

საბჭოთა ხალხმა იცის, რომ მისი სამშობლო მშვიდობისა და პროგრესის ურყევი ბურჯია, რომ კომუნისტური მშენებლობის ამოცანათა გადაწყვეტისათვის საჭიროა მშვიდობა, რაც უზრუნველყოფს სოციალისტური წარმოების შეუნელებელ განვითარებას შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდის საფუძველზე.

წლითიწლობით მაღლდება ჩვენს ქვეყანაში შრომის ნაყოფიერება. 1940 წელთან შედარებით შარშან შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში გაიზარდა 83 პროცენტით, მშენებლობაში — 62 პროცენტით. წელს შრომის ნაყოფიერება უნდა გადიდდეს: მრეწველობაში — 6,5, ხოლო მშენებლობაში — 9 პროცენტით.

შრომის ნაყოფიერების ზრდაში მიღწეული წარმატებები სრულიადაც არ გვაძლევს თვითდამშვიდების საფუძველს. მეხუთე ხუთწლიანი გეგმა, როგორც წინასწარი ცნობები ცხადყოფენ, სამრეწველო პროდუქციის გამოშვების მხრივ გადაჭარბებით იქნება განაღდებული, შრომის ნაყოფიერების ამაღლების დარგში კი არის ნიშნები, რომ ვერ შესრულდება, თუ მდგომარეობის გამოსასწორებლად ამთავითვე არ იქნა მიღებული ზომები. ეს გარემოება სამინისტროებს, უწყებებსა და საწარმოთა ხელმძღვანელებს აკისრებს ყველა ღონისძიება მიიღონ იმისათვის, რომ აუცილებლად და გადაჭარბებით შეასრულონ შრომის ნაყოფიერების ამაღლების მიმდინარე წლის დავალება.

მოწინავე საწარმოთა გამოცდილება ცხადყოფს, რომ სადაც საწარმოთა სამეურნეო, პარტიული და პროფკავშირული ხელმძღვანელობა არ ივიწყებს და მტკიცედ იცავს შრომის ნაყოფიერების ამაღლების, სოციალისტური მეურნეობის განვითარების აუცილებელ პირობებს: პირველ რიგში ტექნიკის სრულყოფას, ძველის შეცვლას ახლით, ახლისას უახლესით, ზრუნავს წარმოების მექანიზაციისათვის, ელექტროფიკაციისათვის, იქ წარმატებები უზრუნველყოფილია.

ავიღოთ, მაგალითად, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხანა, რომელიც რთულ ლითონსაჭრელ ჩარხებს უშვებს. აქ სამანქანო პარკს სისტემატურად ავსებენ მაღალი წარმადობის ახალი ჩარხებით, დაუცხრომლად ზრუნავენ საამქროს შიდა ტრანსპორტის სრულყოფისათვის, მძიმე შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციისათვის, უახლესი ტექნოლოგიისათვის, შრომის გაუმჯობესებული ორგანიზაციის დანერგვისათვის. ამ ბრძოლამ თვალსაჩინო შედეგი გამოიღო: ქარხანაში ყოველწლიურად იზრდებოდა შრომის ნაყოფიერება. 1950 წელთან შედარებით 1951 წელს იგი გაიზარდა 26 პროცენტით, 1952 წელს — 36 პროცენტით, 1953 წელს — 43 პროცენტით, ხოლო შარშან — 53 პროცენტით. ჩარხმშენებლებმა შესაბამისად გაზარდეს პროდუქციის გამოშვება.

რესპუბლიკის შახტები ცუდად როდი არიან აღჭურვილი გაუმჯობესებული მანქანებითა და მექანიზმებით. მიუხედავად ამისა, საქართველოს სახალხო მეურნეობის ისეთ წამყვან დარგში, როგორიც ქვანახშირის მრეწველობაა, შრომის ნაყოფიერების გადიდების დავალებათა შესრულების მხრივ ჯერ კიდევ ყველაფერი რიგზე არ არის. ქვანახშირის კომბინატმა გასულ წელს შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმა შეასრულა, მაგრამ მიმდინარე წლის იანვარ-თებერვლის დავალება შეუსრულებელი დარჩა. განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა ახალციხექვანახშირის შახტებში, სადაც შარშან ქვანახშირის ამოღების დავალება მხოლოდ 85,9 პროცენტით შეასრულეს, ხოლო შრომის ნაყოფიერებისა — 84,4 პროცენტით. ახალი სამეურნეო წლიდან მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა. იანვარ-თებერვალში მუშაობა გააუარესა ზოგიერთმა სხვა შახტმაც. შარშან შრომის ნაყოფიერების დავალება ვერ შეასრულა ტყვარჩელქვანახშირის ტრესტმა, წელს კი ამ საქმეში ჩამორჩა ამ ტრესტის ორი შახტი — მესამე და მეხუთე.

შახტების ჩამორჩენის მიზეზია მექანიზმების არასრული დატვირთვით გამოყენება.

ძასების შემოქმედებითი აქტივობის მკაფიო გამოვლინებაა სოციალისტური შეჯიბრება. იგი შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდის მამოძრავებელი ძალა და დაუშრეტელი წყაროა.

შრომის ნაყოფიერების ამაღლების უზრუნველსაყოფად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მაგნიტოგორსკელი მეტალურგებისა და სტალინოელი მეშახტეების მიერ წამოწყებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის ძასების დარაზმვას. საჭიროა ამ შეჯიბრებაში ფართოდ ჩავაბათ რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა მრავალრიცხოვანი არმია. საწარმოო პროცესების სრულყოფით, ახალი სამარჯვების შექმნით, არსებული მექანიზმების გაუმჯობესებით რაციონალიზატორები წინ სწევენ სოციალისტურ ტექნიკას, ამსუბუქებენ შრომას, ხელს უწყობენ მისი ნაყოფიერების ამაღლებას, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას და ხარისხის გაუმჯობესებას.

შარშან მოსკოვის მოწინავე საწარმოთა თაოსნობით მთელ ჩვენს ქვეყანაში ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლედის ვადამდე შესრულებისა და შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის. ამან დიდი შედეგი მოგვცა. ასევე დიდ შედეგს მოელის ჩვენი ხალხი იმ მასობრივი შეჯიბრებიდან, რომელიც ახლა ჩაღდება მაგნიტოგორსკელებისა და დონბასელების მოწოდების პასუხად. პროფკავშირული ორგანიზაციები სისტემატურად უნდა განიხილავდნენ შეჯიბრების მიმდინარეობას, რეგულარულად აჯამებდნენ შედეგებს, ეხმარებოდნენ შეჯიბრების მონაწილეებს აღებულ ვალდებულებათა განაღდებაში.

შრომის ნაყოფიერების ამაღლების ერთ-ერთი მძლავრი რეზერვია მოწინავეთა გამოცდილების გავრცელება, ამიტომ საწარმოთა ხელმძღვანელების ვალია ყოველდღიურად ზრუნავდნენ მოწინავეთა შრომის მეთოდების შესწავლისათვის, განზოგადების, გავრცელების, მუშაობა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, საწარმოს მთელი კოლექტივის მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

ფართოდ გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება სამშობლოსათვის მეტი ლითონის მისაცემად, მეტი ქვანახშირის მოსაპოვებლად, მიმდინარე წლის საწარმოო დავალებათა ვადამდე გასანაღდებლად და ამით საკუთარი წვლილი შევიტანოთ ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცების საქმეში. მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი დიადი სამშობლოს ძლევამოსილების შემდგომი განმტკიცება მშვიდობის საიმედო საწინდარია.

სსრ კავშირის მთავრობის დელეგაცია უნგრეთის გაემგზავრა

უნგრეთის განთავისუფლების მეათე წლისთავის დღესასწაულზე დასასწრებად ბუდაპეშტს გაემგზავრა სსრ კავშირის მთავრობის დელეგაცია, რომელშიც შედიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. კ. ე. ვოროშილოვი (დელეგაციის ხელმძღვანელი), გენერალ-პოლკოვნიკი ამხ. ა. ს. ყადოვი, უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ამხ. პ. გ. ტიჩინა, მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ზ. ვ. მირონოვი. დელეგაციის შემადგენლობაში არის აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში ამხ. ი. ვ. ანდროპოვი.

საქართველოს სსრ მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის გახსნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პირველი სესია გაიხსნება 4 აპრილს, დღის 12 საათზე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

დეპუტატების რეგისტრაცია და ცნობების გაცემა წარმოებს ყოველდღე 10 საათიდან 22 საათამდე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შენობაში, ოთახი № 7, ტელ. 3-43-48.

გუშინ დაიწყო მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვაზე ხელმოწერის შეგროვება. **სურათზე:** 1. მიმართვაზე ხელმოწერა თბილისის ... ნებელ ქარხანაში. ხელს აწერს მოწინავე მღარავი ლ. გოქაძე; 2. დიღმის მტს-ის მექანიზატორები (მარცხნიდან მარჯვნივ) ი. ჩიტაძე, ა. ხარკოვსკი, ე. გუმბათოლელი, ნ. ხუციშვილი, ნ. ზანდარაშვილი ხელს აწერენ მიმართვას; 3. ხელმოწერის შეგროვება სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მიმართვას ხელს აწერს იურიდიული მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი თ. წერეთელი. ... ხელ. ... ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ... ფოტო ვ. გინზბურგისა და შ. ჩხეტიანისა.

საქართველოს მშრომელები ერთსულოვნად აწერენ ხელს ატომური ომის საფრთხის წინააღმდეგ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს მიმართვაზე

გმირული შრომით დავიცავთ მშვიდობას

ხალხმრავალ კრებაზე, რომელიც გუშინ კიროვის სახელობის ჩარხმშენებელ ქარხანაში გაიმართა, პირველი სიტყვა მოწინავე მუშამ ზ. თალაშვილმა აიღო.

— მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვაში, — თქვა მან, — ნათლად არის გამოხატული ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის მისწრაფება — დაიცვან კაცობრიობა ატომური ომის საფრთხისაგან. საბჭოთა ადამიანები ერთსულოვნად მოაწერენ ხელს ამ დიდმნიშვნელოვან დოკუმენტს. მშვიდობის საიმედო ბურჯია ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლო, მისი ძლიერება. ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, თავდადებული შრომით განვამტკიცებთ ჩვენი ქვეყნის ძლიერებას, დავიცავთ მშვიდობას. ვალდებულებას ვკისრულობ ყოველდღიური საწარმოო დავალება შევასრულო 200 პროცენტით.

— ჩვენი საბჭოთა სახელმწიფოს სამშვიდობო პოლიტიკა მის სისუსტეს როდი ნიშნავს, — განაცხადა ხარატმა ნ. დიმაკოვამ, — საბჭოთა მრავალეროვან ქვეყანას სრულებითაც არ ეშინია ომის გამჩაღებელთა ღმუილისა. იგი მზად არის გამანადგურებელი დარტყმა აგემოს ყოველ აგრესორს. საბჭოთა ადამიანის თავდადებული შრომა მშვიდობის დაცვის საწინდარია. პირობას ვიძლევი ყოველდღიური დავალება შევასრულო ორმაგად, მივცე ქვეყანას მხოლოდ მაღალხარისხოვანი პროდუქცია.

პატრიოტული სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე ხარატმა ი. მატვეევმა, ზეინკალმა ა. ჩაბან-ზადემ, ქარხნის ტექნიკური კონტროლის ყველაზე ... ტექნიკურ კონტროლის ... ...

უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს საბოლოო სხდომა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ კ. ე. ვოროშილოვის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საკავშირო მთავრობის დავალებით მხურვალედ მოგესალმებით თქვენ, უკრაინელი ხალხის რჩეულთ — უკრაინის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს. (ხანგრძლივი ტაში).

დიდი სიხარულის გრძნობით გადავეცი მე თქვენი სახით ლენინის ორდენი უკრაინის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას, რომელიც დაჯილდოებულია რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის აღსანიშნავად და უკრაინელი ხალხის თვალსაჩინო წარმატებებისათვის სახელმწიფოებრივ, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში.

საბჭოთა უკრაინის ფართო სივრცეებზე — დონბასისა და დნეპროსპეტროვსკის საწარმოებში, კიევის ოლქისა და ვოლინის ველებზე, კარპატების ძირის მისადგომებთან, პოლესიეში და შავი ზღვის სანაპიროზე — ყველგან გაჩაღებულია შემოქმედებითი შრომა უკრაინელი ხალხისა, რომელიც მჭიდროდ დარაზმულია ჩვენი სახელოვანი კომუნისტური პარტიის გარშემო, უანგაროდ ერთგულია თავისი დიადი სოციალისტური სამშობლოსი.

უკრაინაში, ისევე როგორც ყველგან საბჭოთა ქვეყანაში, იზრდება ახალი ქარხნები და ფაბრიკები, შახტები, ელექტროსადგურები და სხვა საწარმოები, ვითარდება ტრანსპორტი, შენდება ახალი ქალაქები.

წლითიწლობით მტკიცდება უკრაინაში კოლმეურნეობები, მანქანა-ტრაქტორთა სადგურები და საბჭოთა მეურნეობები, რომლებიც იარაღდება ახალი, მოწინავე ტექნიკით, მრავლდება წარმატებანი სოფლის მეურნეობის ყველა დარგში, განუხრელად მაღლდება საბჭოთა უკრაინის მშრომელთა მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის დონე. უკრაინის საბჭოთა სახელმწიფოს მზარდი ძლიერება, მისი ეკონომიკისა და კულტურის მკვეთრი აღმავლობა ბრწყინვალედ ცხადყოფს, თუ რაოდენ დიადი ძალა აქვს საბჭოთა სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ წყობილებას, რომელიც ემყარება მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის მძლავრ კავშირს, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ხალხთა ურღვევ მეგობრობას.

საბჭოთა ხალხების მჭიდრო დარაზმულობა, მათი ძმური სოლიდარობა და ღრმა ურთიერთპატივისცემა განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის დღესასწაულის ღირსშესანიშნავ დღეებში. ჩვენი ქვეყნის ყოველ კუთხეში ეს ისტორიული მოვლენა აღინიშნა როგორც რუსი და უკრაინელი ხალხების და საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის ძმური ერთიანობის დიდი დღესასწაული, როგორც კომუნისტური პარტიის ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვება. (ხანგრძლივი ტაში).

რუსეთთან უკრაინის შეერთებას ჰქონდა უდიდესი მნიშვნელობა, რომელმაც განსაზღვრა ჩვენი სამშობლოს ისტორიული ბედი. უკრაინელები, რუსები — ორი დიდი მოძმე ხალხი, მახლობელნი და მონათესავენი ენით და კულტურით და წარმოშობით, სამუდამოდ გაერთიანდნენ ერთ სახელმწიფოდ.

თავიანთი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე რუსები და უკრაინელები მედგარ ბრძოლაში იცავდნენ შმობლიურ მიწაწყალს მტრის მრავალრიცხოვანი ურდოებისაგან, რომლებიც ლამობდნენ ცეცხლითა და მახვილით დაემონებინათ ეს ორი თავისუფლებისმოყვარე სლავი ხალხი. პოლონეთის შლიახტამ, თურქმა, თათარმა, შვედმა და სხვა უცხოელმა დამპყრობლებმა ვერ მიაღწიეს თავიანთ დამპყრობლურ მიზნებს, ხოლო სავსებით იწვნიეს რუსეთისა და უკრაინის ხალხთა სიმტკიცე, მამაცობა და მათი დარტყმების ძალა. (ტაში).

ჩვენი ხალხების ურღვევი მეგობრობა კიდევ უფრო განმტკიცდა და გამოიბრძმედა საკუთარი მჩაგვრელების — მემამულეებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ, მეფის მკაცრი თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

დიდი ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებამ უკრაინელ ხალხს მოუპოვა ნამდვილი თავისუფლება და ეროვნული დამოუკიდებლობა, ეკონომიკის, კულტურის, მეცნიერებისა და ხელოვნების სწრაფი განვითარება.

ასრულდა მთელი უკრაინელი ხალხის საუკუნეობრივი ოცნება, ამქამად იგი გაერთიანებულია ერთიან უკრაინის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად, რომელიც ევროპის ერთ-ერთი უდიდესი და უძლიერესი სახელმწიფოა. (ხანგრძლივი ტაში).

უკრაინელმა ხალხმა, რომელიც წმიდად ინახავს მეგობრობას თავის ერთგულ მეგობარსა და ძმასთან რუს ხალხთან, მასთან და სსრ კავშირის სხვა მოძმე ხალხებთან ერთად გმირულ ბრძოლათა და სახელოვან გადამწყვეტ გამარჯვებათა გზა განვლელოვანი და საპატიო როლი ეკუთვნის უკრაინის მუშათა კლასსა და ინტელიგენციას. საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობაში უკრაინის მძიმე მრეწველობას დიდი ხვედრითი წონა აქვს, განსაკუთრებით, შავი ლითონების, მანქანების, ძოწყობილობის, ელექტროენერგიის წარმოებასა და ქვანახშირის ამოღებაში.

სამრეწველო პროდუქციის გამოშვება უკრაინის, ისევე როგორც მთელი ჩვენი ქვეყნის საწარმოებში განუწყვეტლივ იზრდება. ეს დიდი მიღწევაა, იგი ყველას ახარებს. ამასთან, ძვირფასო ამხანაგებო, არ შეიძლება იძის უარყოფა, რომ ჩვენ ჯერ კიდევ მოგვეპოვება მნიშვნელოვანი მნიშვნელობანი წარმოების უფრო მკვეთრად გაღიდებისათვის, რომლებიც ჩვენ ჯერ კიდევ მთლიანად არ გამოგვიყენებია, რაზეც აქ ილაპარაკეს სიტყვებით გამოსულმა დეპუტატებმა.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ზევრ ქარხანაში, ფაბრიკაში, მშენებლობაზე არასრულად და ზოგჯერ უუნაროდ იყენებენ მოწინავე ტექნიკას, მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებია შრომის ორგანიზაციასა და სამეურნეო ხელმძღვანელობაში. ამოცანა, მაშასადამე, ის არის, რომ გადაჭრით აღმოვფხვრათ ეს ნაკლოვანებანი, აყარათიანად გამოვიყენოთ ყველა შესაძლებლობანი წარმოების შემდგომი ზრდისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირებისათვის.

უკრაინაში აღიზარდნენ მრეწველობის, ტრანსპორტისა და მშენებლობის ყველა დარგის მოწინავეთა მრავალრიცხოვანი კადრები. ამ სახელოვან ადამიანებს არ დავასახელებ მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ძალიან ბევრნი არიან, ხოლო ცოტა რომ დავასახელო, დანარჩენებს ეწყინებათ. (ხანგრძლივი ტაში). მაგრამ მათი მიღწევები საჭიროა გულმოდგინედ გავავრცელოთ, შევაიარაღოთ ამ გამოცდილებით საწარმოთა და მშენებლობათა ყველა მუშა, ხოლო ეს შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და სოციალისტური წარმოების შემდგომი წარმატებითი განვითარების უმნიშვნელოვანესი პირობაა.

ამხანაგებო! თქვენ კარგად იცნობთ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებს, რომელთა მიზანია სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის უზრუნველყოფა და განსაკუთრებით მარცვლეულისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდება.

ვფიქრობ არ არის საჭირო დაწვრილებით გელაპარაკოთ აქ ამაზე, თქვენ მშვენივრად იცით თქვენი ამოცანები, გაქვთ უხვი მოსავლის მოყვანის უდიდესი გამოცდილება.

უკრაინა მდიდარია მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის სახელგანთქმულ ნოვატორთა კადრებით, რომლებსაც კარგად იცნობენ თქვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ.

თქვენი ნებართვით დავჯერდები მხოლოდ იმას, რომ გისურვებთ ახალ დიდ წარმატებებს ამ საქმეში. (ტაში).

ამხანაგებო! გამოვთქვამ ჩემს უღრმეს რწმენას, ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საკავშირო მთავრობის რწმენას, რომ დიდ ამოცანებს, რომლებიც დასახულია თქვენი რესპუბლიკის წინაშე, შრომისმოყვარე უკრაინელი ხალხი, საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრულ ოჯახში, ღირსეულად გაართმევს თავს და მუდამ იქნება კომუნიზმის მშენებელთა პირველ რიგებში. (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).

ლენინ-სტალინის დიადი დროშით საბჭოთა ხალხი მიდის გამარჯვებიდან გამარჯვებამდე. სულ უფრო ლამაზი, სულ უფრო ძლიერი ხდება ჩვენი სამშობლო. სულ უფრო კარგი და საამურია საბჭოთა ადამიანების ცხოვრება. უფრო ახლოს და ნათლად მოჩანს ჩვენი სანუკვარი მიზანი — კომუნიზმი, რომლის შემოქმედნიც ვართ ჩვენ თქვენთან ერთად, ამხანაგებო, ყველა საბჭოთა ადამიანი. (ტაში).

ამხანაგო დეპუტატებო! ერთხელ კიდევ მხურვალედ, სულით და გულით, ვიდ შჩიროგო სერცია (ტაში) ვუსურვებ უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოსა და მისი სახით მთელ მამაც და სახელოვან უკრაინელ ხალხს — ყველა ქალს, მამაკაცს, მშვენიერ ახალგაზრდობას უმაღლეს ჯილდოს. (ხანგრძლივი ტაში).

გაუმარჯოს გმირ უკრაინელ ხალხს! (ხანგრძლივი ტაში).

დიდება რუს ხალხს — უკრაინელი ხალხის დიდ მეგობარსა და ძმას! (მქუხარე ტაში).

გაუმარჯოს საბჭოთა სამშობლოს ყველა ხალხის — კომუნისტური საზოგადოების მშენებლების ურღვევ მეგობრობას! (ხანგრძლივი ტაში).

გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ საბჭოთა მთავრობას! (ხანგრძლივი ტაში).

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ბრძენ კომუნისტურ პარტიას და მის მებრძოლ შტაბს — ლენინურ-სტალინურ ცენტრალურ კომიტეტს! (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში, რომელიც ოვაციად იქცევა. ყველანი ფეხზე დგებიან).

უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ პ. ი. პირიჩენკოს სიტყვა

პატივცემულო ამხანაგო დეპუტატებო! პატივცემულო კლიმენტ ეფრემის-ძე ვოროშილოვ!

უკრაინელი ხალხი გამოთუთქმელი სიხარულით და უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდა ცნობას, რომ საბჭოთა უკრაინა დაჯილდოებულია მთავრობის ყველაზე საპატიო და ყველაზე მაღალი ჯილდოთი — ლენინის ორდენით. (მქუხარე ტაში).

უკრაინის საბჭოთა სოციალისტურმა რესპუბლიკამ მაღალი ჯილდო მიიღო სახელოვანი ისტორიული მოვლენის — რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის აღსანიშნავად, თვალსაჩინო წარმატებებისათვის სახელმწიფო, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში.

ხხოლოდ ჩვენი დიადი და ბრძენი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, საბჭოთა ხელისუფლების გარსკვლავქვეშ, რუსი ხალხის დახმარებით უკრაინელმა ხალხმა შექმნა თავისი სუვერენული სოციალისტური სახელმწიფო, მოიპოვა ეროვნული დამოუკიდებლობა, გააერთიანა მთელი თავისი მიწაწყალი, ააშენა ბედნიერი ცხოვრება.

დიდი რუსეთის ფედერაციასთან და ჩვენი სამშობლოს ყველა რესპუბლიკასთან ძმური მეგობრობით უკრაინა თავისუფალი გახდა და საბჭოთა ხალხების ერთსულოვან მრავალეროვან ოჯახში მტკიცედ მიდის წინ კომუნისტური მშენებლობის გზით.

მძიმე და ეკლიანი იყო უკრაინელი ხალხის გზა სოციალურ და ეროვნულ განთავისუფლებამდე, მანამდე, სანამ თავის სახელმწიფოებრიობას შექმნდა. უკრაინის მთელი მრავალსაუკუნოვანი და გმირული ისტორია არის ისტორია უკრაინელი ხალხის ბრძოლისა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობდნენ დაემონებინათ უკრაინის მშრომელები. უკრაინელმა ხალხმა ზღვა სისხლი დაღვარა თავისი სოციალური განთავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, მრავალი მისი საუკეთესო შვილი დაეცა ბრძოლებში ბედნიერი ხვედრისათვის.

უკრაინა დღეს მძლავრი ინდუსტრიულ-სასოფლო-მეურნეო სახელმწიფოა, ქვანახშირისა და ლითონის, მანქანათმშენებელი ქარხნებისა და მძლავრი ელექტროსადგურებს, მსხვილი სოფლის მეურნეობის რესპუბლიკაა, მოწინავე სოციალისტური კულტურის რესპუბლიკაა. მთელი საბჭოთა ხალხის სამაყოა ჩვენი დონბასი, დნეპროსპეტროვსკი, მეტალურგიული გიგანტები, დნეპრჰესი, უკრაინის მანქანათმშენებელი ქარხნები.

უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის აყვავება, მისი წარმატებანი სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში ცხადყოფენ სოციალისტური წყობილების უძლეველ ძალას, მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის ძლიერებას, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ყველა ხალხის ურღვევ მეგობრობასა და ძმურ თანამშრომლობას,

იმ ორდენზე, რომელსაც სიამაყით იღებს უკრაინელი ხალხი, გამოსახულია კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის, კაცობრიობის გენიოსის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სახე. ეს არის ჯილდო — მაღალი შეფასება, რომელიც კომუნისტურმა პარტიამ, საბჭოთა მთავრობამ, ჩვენი სამშობლოს მშრომელებმა მისცეს უკრაინელი ხალხის გმირულ შრომასა და საგმირო საქმეებს უკრაინის საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობაში.

ნება მიბოძეთ ჩვენი რესპუბლიკისათვის მაღალი ჯილდოს გადმოცემის ამ საზეიმო და დაუვიწყარ დღეს მუშების, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის, ჩვენი სახელოვანი ახალგაზრდობის სახელით, თქვენი სახელით, ამხანაგო დეპუტატებო, და მთელი უკრაინელი ხალხის სახელით გულითადი მადლობა ვუძღვნა მშობლიურ კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას უკრაინის დიდი პატივისცემისათვის, სოციალისტური სამშობლოს წინაშე მისი დამსახურების აღიარებისა და აღნიშვნისათვის, საბჭოთა უკრაინის შემდგომ აყვავებაზე მათი მუდმივი ზრუნვისათვის. (მქუხარე ტაში).

ნება მიბოძეთ, ამხანაგო დეპუტატებო, პირობა მივცე საბჭოთა მთავრობას, ჩვენს კომუნისტურ პარტიასა და მის ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმს, რომ უკრაინელ ხალხს, რომელიც აღფრთოვანებულია მაღალი ჯილდოთი, კვლავაც მადლა ეკავება კომუნისტური პარტიის ყოვლისმძლე დროშა — მარქსიზმ-ლენინიზმის სახელოვანი დროშა, განამტკიცებს მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის კავშირს, განამტკიცებს ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს — მთელი მსოფლიოს მშვიდობის ბურჯის ძლიერებასა და ურყევ თავდაცვისუნარიანობას. (მქუხარე ტაში).

უკრაინის მშრომელები, რომლებიც აღფრთოვანებულნი არიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებით, კიდევ მეტი ენერგიით იშრომებენ მძიმე ინდუსტრიის შემდგომი სწრაფი განვითარებისათვის, მარცვლეულის წარმოებისა და მეცხოველეობის პროდუქტების გადიდებისათვის, ხალხის კეთილდღეობისა და კულტურის განუხრელი ამაღლებისათვის.

უკრაინის გმირი მუშათა კლასი, ინტელიგენციისა და ინტელიგენცია ყოველ ღონისძიებას იხმარენ, რათა ვადამდე დაამთავრონ ხუთწლედი და ჩვენს ქვეყანას მისცენ სულ უფრო მეტი ქვანახშირი, თუჯი, ფოლადი, ნაგლინი, ნავთობი, მანქანები, ელექტროენერგია, მკვეთრად გაადიდონ შრომის ნაყოფიერება, შეამცირონ პროდუქციის თვითღირებულება, მიაღწიონ იმას, რომ თვითეული საწარმო ასრულებდეს სახელმწიფო გეგმებს.

უკრაინის სახელოვანი კოლმეურნე გლეხობა, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები კიდევ მეტი სიმტკიცით იშრომენ, რათა 1960 წელს მარცვლეულის წარმოება რესპუბლიკაში აიყვანონ 1 მილიარდ 835 მილიონ ფუთამდე და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება გაადიდონ 1,6-2-ჯერ, ჩვენს ქვეყანას მისცენ სულ უფრო მეტი შაქარი, ბოსტნეული, კარტოფილი, სელი, კანაფი და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტები.

საბჭოთა უკრაინის სახალხო ინტელიგენცია და ყველა მშრომელი კვლავაც განავითარებენ ფორმით ეროვნულ, შინაარსით სოციალისტურ უკრაინულ კულტურას.

ამხანაგო დეპუტატებო! უკრაინელი ხალხი სამასი წლის განმავლობაში განმტკიცებდა ბრძოლებსა და შრომაში ნაცად მეგობრობას დიდ რუს ხალხთან. ასრულებს რა დიდი ლენინისა და მისი უკვდავი საქმის განმგრძობის სტალინის ანდერძს, რომლებიც გვასწავლიდნენ განვამტკიცებდეთ ხალხთა მეგობრობას — ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძალისა და ძლიერების საფუძველს, უკრაინელი ხალხი განამტკიცებდა, იცავდა და საუკუნეებში თვალისჩინეით დაიცავს წმიდა მეგობრობას ყველა საბჭოთა ხალხთან. მოძმე საბჭოთა ხალხებთან მეგობრობა უკრაინელი ხალხის ძალა და დიდებაა! (მქუხარე ტაში).

იღებს რა მაღალ ჯილდოს — ლენინის ორდენს, უკრაინელი ხალხი კიდევ უფრო მტკიცედ დაიარაზმება თავისი შმობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო, კიდევ მეტი თავდადებით და გმირობით იშრომებს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობაში პარტიისა და მთავრობის ისტორიულ მიზანდასახულებათა განხორციელებისათვის.

გაუმარჯოს ორდენოსან უკრაინას და კიდევ უფრო აყვავდეს იგი მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების ოჯახში! (მქუხარე ტაში).

დიდება ჩვენს დიდ ძმას — რუს ხალხს! (მქუხარე ტაში).

გაუმარჯოს ჩვენს საყვარელ და მძლავრ სამშობლოს — საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირს! (მქუხარე ტაში).

დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას და მის ბრძენ ცენტრალურ კომიტეტს! (მქუხარე ტაში, ყველანი ფეხზე დგებიან).

კიევის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს სესიაზე

ქალაქ კიევს გადაეცა ლენინის ორდენი

კიევი, 31 მარტი. (საკადესი). დღეს დამთავრდა კიევის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს მორიგი სესია. სესიამ განიხილა ქალაქ კიევში 1955 წელს ინდივიდუალური მებინადრეობისა და მეზაღლობის განვითარების საკითხი.

სესიის საბოლოო სხდომაზე მოხდა ქალაქ კიევისათვის ლენინის ორდენის საზეიმო გადაცემა.

ეს მაღალი ჯილდო საბჭოთა უკრაინის დედაქალაქს მიენიჭა რუსეთთან უკრაინის შეერთების სახელოვანი 300 წლისთავის ღირსშესანიშნავ დღეებში.

თავმჯდომარე — უკრაინის სსრ არქიტექტურის აკადემიის ნამდვილი წევრი, ქალაქის მთავარი არქიტექტორი ამხ. ა. ვ. დობროვოლსკი სიტყვას აძლევს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანს ამხ. ნ. მ. პეგოვს, რომელიც კითხულობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას კიევის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ. დარბაზში კვლავ იწყება მქუხარე, ხანგრძლივი ტაში, ყველანი ფეხზე დგებიან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა კ. ე. ვოროშილოვმა უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი, რომლითაც დაჯილდოებულია ქალაქი კიევი, გადასცა სესიის თავმჯდომარეს ამხ. ა. ვ. დობროვოლსკის. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. ა. ი. დავიდოვს და უკრაინის კომუნისტური პარტიის კიევის საქალაქო კომიტეტის მდივანს ამხ. მ. ს. სინიცას.

იღებენ რა ლენინის ორდენს, თქვა ამხ. სინიცამ, კიევის მშრომელნი, ისევე როგორც მთელი უკრაინელი ხალხი, პირობას აძლევენ კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას, რომ ყველანაირად დაუცხრომლად განამტკიცებენ ძმურ მეგობრობას დიდ რუს ხალხთან და საშშობლოს ყველა ხალხთან, მთელ ძალებს მოახმარენ შშობლიური ქალაქის შემდგომ აყვავებას, საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების განმტკიცებას.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. კ. ე. ვოროშილოვმა.

ამხანაგ კ. ე. ვოროშილოვის სიტყვა

ქალაქ კიევისათვის ლენინის ორდენის გადაცემის დროს

ამხანაგო დეპუტატებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის დავალებით მოხარული ვარ გადმოგცეთ ლენინის ორდენი, რომლითაც დაჯილდოებულია უკრაინის სსრ დედაქალაქი კიევი რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის აღსანიშნავად. (ხანგრძლივი ტაში).

ამ მაღალი ჯილდოთი აღნიშნულია სახელოვანი კიევის დიდი მნიშვნელობა რუსი, უკრაინელი და ბელორუსი ხალხების ისტორიაში.

რუსეთთან უკრაინის შეერთებას უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა ორივე ხალხისათვის. მეგობრულმა ერთიანობამ მათ შეძლეს ძალა, გაადიდა მათი წინააღმდეგობა მტრებისადმი, დიადი მეგობრობით გაერთიანდნენ რუსები და უკრაინელები, და საუკუნეებში გამოიტარეს ეს მეგობრობა, რომელიც ჩვენს დროში ეშმაკრიტად უძლეველი გახდა.

შორეულ საუკუნეებში შეიქმნა ძმური კავშირი რუსი და უკრაინელი ხალხებისა, რომლებიც წარმოშობილი არიან ერთი ძირიდან — ძველრუსთა ეროვნებიდან.

აქ, დნეპრის ნაპირებზე, წარმოიშვა ძველრუსთა ძლევამოსილი სახელმწიფო — კიევის რუსეთი, რომელმაც გაერთიანა აღმოსავლეთის სლავები კარპატიდან ვოლგამდე, ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე. ამ სახელმწიფოს საბატო ქალაქი იყო კიევი, რომელსაც ხალხმა სიყვარულით უწოდა „რუსთა ქალაქების დედა“.

დიდი იყო კიევის, როგორც სახალხო-განმათავისუფლებელი ომის ერთ-ერთი ცენტრის როლი, რუსეთთან უკრაინის შეერთებისათვის უკრაინელი ხალხის/ბრძოლაში.

არაერთხელ ჩავარდნილი კიევი მძიმე განსაცდელში, მაგრამ ვერც თათართა ბატონობამ, ვერც პანური პოლონეთისა და სხვა უცხოელ დამპყრობთა უღელმა ვერ გატეხა ძველი ქალაქის სიმტკიცე და მამაცობა“ — დიდებულად და ამაყად დგება ეგი დნეპრის ნაპირებზე გმირულ სიმაგრედ, როგორც აღმოსავლეთის სლავთა ურყევი ძალიერების სიმბოლო. (ტაში).

ყველა მრავალრიცხოვანი მტრის წინაშე კიევი მუდამ შეუდრეკელი მებრძოლი იყო. ასეთი იყო იგი სამოქალაქო ომის დროსაც და ჰიტლერელთა მიერ ორი წლის ოკუპაციის დროსაც.

მთელი თავისი ისტორიის მანძილზე კიევს არ განუცდია ისეთი საშინელი ნგრევა, ისეთი საშინელი განადგურება, როგორიც მიაყენეს მას ფაშისტმა ბარბაროსებმა.

დანგრეული და გადაბუგული კიევი კვლავ აღდგა ნაგრევებიდან და ნახანძრალიდან. მთელი თავისი ბუმბერაზობით კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვისა და, ცხადია, მთელი უკრაინელი ხალხის გმირული შრომის მეოხებით. და დღეს იგი კვლავ აშენებული დგას, კიდევ უფრო თვალწარმტაცი და ჩვენთვის, ყველა ჩვენგანისათვის ძვირფასი, თავისი სალამაზით უბადლო.

ძველთაგან განთქმულია კიევი თავისი მეცხრძოლი რევოლუციური ტრადიციებით. ჯერ კიდევ რევოლუციური მოძრაობისა და პროლეტარული პარტიის ჩასახვის გარიჟრაჟზე, რუსეთის პირველი რევოლუციის დროს თვითმპყრობელობასთან ბრძოლაში და დიდი ოქტომბრის დღეებში, სამოქალაქო ომის წლებში კიევის მშრომელები იყვნენ რუსეთის რევოლუციური პროლეტარიატის პირველ რიგებში, პროლეტარიატსა, რომელიც იბრძოდა მუშათა კლასის და ღარიბი გლეხობის დიადი იდეებისათვის, სოციალიზმისა და კომუნიზმის იდეებისათვის.

კიევი ახლაც საბჭოთა უკრაინის უდიდესი პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ცენტრია. რომლითაც სამართლიანად ამაყობენ უკრაინის ყველა მშრომელნი და, მასთან ერთად მთელი საბჭოთა ხალხი. (ტაში).

ამხანაგო დეპუტატებო! ჩვენი ქვეყანა თავისი შემოქმედებითი ძალების აყვავების განიცდის. ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ისტორიული გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებული საბჭოთა ხალხი მთელ თავის ძალას ანმარს სოციალისტური ინდუსტრიის შემდგომ განვითარებას, სოფლის მეურნეობის მკვეთრ აღმავლობას და ახალ დიდ ნაბიჯს დგამს, რათა შექმნას მატერიალური და კულტურული სიკეთენი საბჭოთა საზოგადოებას განუწყვეტლივ მზარდ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

ეჭვი არ არის, რომ კიევის — საბჭოთა უკრაინის ამ სახელოვანი დედაქალაქის მშრომელები, აგრეთვე მისი სამეცნიერო დაწესებულებანი და მათი კვალიფიციური კოლექტივები ღირსეულ ადგილს დიკავებენ მთელი საბჭოთა ხალხის ამ გმირულ შრომაში.

ნება მიბოძეთ ერთხელ კიდევ მოგილოცოთ, ძვირფასო ამხანაგებო, და თქვენი სახით მივულოცოთ ყველა კიეველს დიდი ჯილდო და გასურვოთ ყველას კიდევ უფრო მეტი წარმატება შემდგომ ნაყოფიერ, ხალხის საკეთილდღეო მუშაობაში. (მქუხარე ტაში).

გაუმარჯოს და აყვავდეს ძველი და მუდამ ახალგაზრდა ორდენოსანი კიევი! (მქუხარე ტაში).

ცოცხლობდეს და განმტკიცდეს რუსი, უკრაინელი და სსრ კავშირის ყველა ხალხის მეგობრობა — ჩვენი სამშობლოს ძლიერებისა და ძლევამოსილების წყარო! (მქუხარე ტაში).

დიდება და ბატეი საბჭოთა კავშირის სახელოვან კომუნისტურ პარტიას — სსრ კავშირის ხალხთა შორის მეგობრობის შემოქმედს, ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს! (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში, რომელიც ოვაციად იქცევა. ყველანი ფეხზე დგებიან).

შილდის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის განვითარების პერსპექტივები

კოლმეურნეებმა შეიმუშავეს ღონისძიებანი სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის მითითების და „სოფლის მეურნეობის დაგეგმვის პრაქტიკის შეცვლის შესახებ“ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების საფუძველზე ყვარლის რაიონის სოფელ შილდის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობამ შეიმუშავა საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარების 1955 — 1960 წლების პერსპექტიული გეგმა. ეს გეგმა, რომლის შედგენაში მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივმა აქტივმა და სპეციალისტებმა, განიხილა და დაამტკიცა კოლმეურნეთა საერთო კრებამ.

დასახულ ღონისძიებათა განხორციელება კოლმეურნეობას საშუალებას მისცემს უახლოეს წლებში მკვეთრად გაადიდოს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა, მეცხოველეობის ძირითადი პროდუქტების წარმოება და ამით განამტკიცოს ჩვენი სამშობლოს ძლიერება, აამაღლოს კოლმეურნეთა კეთილდღეობის დონე.

ამ გვერდში მოთხრობილია იმ რეზერვებსა და საშუალებებზე, რომელთა გამოყენებით კოლმეურნეობა გაადიდებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობასა და მეცხოველეობის პროდუქტიულობას, კიდევ უფრო განავითარებს საზოგადოებრივ მეურნეობას.

ჩვენი სამშენებლო პროგრამა

მეცხოველეობის აღმავლობის პროგრამაში, როგორც ეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა დასახა, დიდი ადგილი უჭირავს პირუტყვის სადგომების მშენებლობას.

მართალია, უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში, განსაკუთრებით პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის შემდეგ, კოლმეურნეობაში ამ მხრივ ზოგი რამ გაკეთდა — 800 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისათვის აშენდა 3 კაპიტალური სადგომი, ავაგეთ ერთი სადგომი მეღორეობის ფერმისათვის და სხვ., მაგრამ, მიუხედავად ამისა, საერთო მდგომარეობა ჯერჯერობით მაინც არადამაკმაყოფილებელია.

ვამუშავებდით რა პერსპექტიულ გეგმას, დავსახეთ სამშენებლო პროგრამა, რომლის განხორციელება დააკმაყოფილებს ზოოტექნიკურ მოთხოვნებს, აამაღლებს მეცხოველეობის კულტურას, მეცხოველეებს შეუმსუბუქებს შრომას.

უახლოეს სამ წელიწადში მთელი საზოგადოებრივი პირუტყვი მოთავსებული იქნება კეთილმოწყობილ სადგომებში. ამ მიზნით 1955-1957 წლებში აშენდება ორი საძროხე — 264 სულისათვის, აქედან ერთი — უკვე მიმდინარე წელს. ამას გარდა 1955-1956 წლებში ავაშენებთ ორ სახბორეს. გათვალისწინებული გვაქვს ავაშენოთ აგრეთვე ორი საღორე 220 სულისათვის, აქედან ერთი მიმდინარე წელს, ერთიც — 1958 წელს. 1957 წელს ავაშენებთ ცხვრის ორ ფარეხს — 1.200 სულისათვის, ხოლო 1960 წელს აგრეთვე ორ ფარეხს — 1.670 სულისათვის.

ავაგებთ თითო საფრინველესა და საწიწილეს, აგრეთვე 1.000 ტონის საერთო ტევადობის 6 სასილოსე ორმოს. მეცხოველეთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით 1955-1958 წლებში მათთვის ავაშენებთ ოთხ ბინას.

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გაზრდება

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმმა მიგვითითა, რომ მეცხოველეობის განვითარების ახლანდელი დონე ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებას მეცხოველეობის პროდუქტებზე, ხოლო მრეწველობისას — ნედლეულზე. იანვრის პლენუმმა საბრძოლო ამოცანად დაგვისახა უახლოესი 5-6 წლის მანძილზე ერთიორად და უფრო მეტად გავადიდოთ მეცხოველეობის ძირითადი პროდუქტების წარმოება.

რა მდგომარეობაა ჩვენს კოლმეურნეობაში მეცხოველეობის პროდუქტიულობის მხრივ? — აშკარად არადამაკმაყოფილებელი.

ჩვენი ფერმები ითვლიან რამდენიმე ათას სულ მსხვილფეხა რქიან პირუტყვს, ცხენს, ცხვარს, ღორს, ფრინველს. ყოველ 100 ჰექტარ სახნავსა და საძოვარზე მოდის 32 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, მათ შორის 9 ძროხა, 100 ჰექტარ სახნავზე — 55 სული ღორი, ყოველწლიურად ვასრულებთ მეცხოველეობის სულადობის განვითარების სახელმწიფო დავალებებს. მაგრამ საქმე მარტო რაოდენობრივი მაჩვენებლები როდია. მთავარი მეცხოველეობაში პროდუქტიულობა, რაც ჯერ კიდევ მეტისმეტად დაბალია. მაგალითად, შარშან 100 ჰექტარ მიწის სავარგულზე მივიღეთ მხოლოდ 18 ცენტნერი ხორცი, 25 ცენტნერი რძე, 1,5 ცენტნერი მატყლი. თვითეული საფურაჟე ძროხის წველადობამ 469 კილოგრამი შეადგინა, მაშინ როცა სახელმწიფო გეგმა 850 კილოგრამს ითვალისწინებდა. ვერ შესრულდა მატყლისა და კვერცხის გამოსავლიანობის დავალებები.



ჩამორჩენის მთავარ მიზეზად სუსტი საკვები ბაზა უნდა მივიჩნიოთ. კოლმეურნეობას აქვს მარტო 546 ჰექტარი საზაფხულო საძოვარი და 81 ჰექტარი სოფლის საბალახო. აღარაფერს ვამბობთ სათიბების შესახებ, რომლებიც სრულიად არ გაგვაჩნია. ამასთან მეტისმეტად დაბალია არსებული საძოვრებისა და საბალახოების პროდუქტიულობა. ამიტომ მათ არ შეუძლიათ დააკმაყოფილონ საზოგადოებრივი და პირად საკუთრებაში მყოფი პირუტყვის მოთხოვნილება საკვებზე.

ჩვენ აქამდე ნაკლებ ყურადღებას ვაქცევდით საკვების წარმოების გადიდების სხვა მნიშვნელოვან წყაროებსაც. პირუტყვი უზრუნველყოფილი არ იყო სილოსით, მწვანე საკვებით და კონცენტრატებით, განვიცდიდით მეცხოველეობის კეთილმოწყობილი სადგომების სიმცირეს, დიდი ნაკლოვანებები გვქონდა ჯოგის სტრუქტურაში.

ავწონდავწონეთ რა ჩვენი შესაძლებლობანი და გავითვალისწინეთ რეზერვები, დავსახეთ ხორცის, რძის, მატყლის, კვერცხის წარმოების გაფართოების პროგრამა უახლოესი წლებისათვის. ჩვენი მტკიცე გადაწყვეტილებაა 1955 წელს მივიღოთ 393 ცენტნერი ხორცი, 1956 წელს — 500, ხოლო 1960 წელს უკვე 890 ცენტნერი. აქედან 1960 წლისათვის ღორის ხორცის წარმოებას გავზრდით 483 ცენტნერამდე 1954 წლის 61 ცენტნერის ნაცვლად. 1960 წლისათვის, 1954 წელთან შედარებით, რძის წარმოება გაიზრდება რვაჯერ და მიაღწევს 4.266 ცენტნერს. იმავე პერიოდისათვის დავამზადებთ 146 ათას ცალ კვერცხს 1954 წელს დამზადებული 2,8 ათასის ნაცვლად, ხოლო მიმდინარე წელს — 105 ათასს. 1960 წელს სახელმწიფოს ჩავაბარებთ და მიგყიდით 417 ცენტნერ ხორცს, 797 ცენტნერ რძეს, 40 ცენტნერ მატყლს და 24 ათას ცალ კვერცხს. მეცხოველეობის პროდუქტების დანარჩენ რაოდენობას გავყიდით საკოლმეურნეო ბაზარზე და მოვიხმართ კოლმეურნეობის შინაჭიროებისათვის. ჩვენთან წელსვე მნიშვნელოვნად იზრდება მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ორ ციფრს: თუ შარშან კოლმეურნეობაში სულ მიღებულ იქნა 526,5 ცენტნერი რძე, წელს ეს ციფრი ერთიორად და მეტად გაიზრდება და იგი 1.396 ცენტნერს მიაღწევს. გასულ წელთან შედარებით წელს 6-ჯერ და მეტად გაიზრდება ფრინველის ხორცის წარმოება.

1960 წლისათვის თვითეული საფურაჟე ძროხის წველადობას გავზრდით 1.500 კილოგრამამდე, რაც ჩვენი კოლმეურნეობისათვის მეტად დიდი ამოცანაა, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ გასულ წელს ფაქტიური წველადობა 469 კილოგრამს არ აღემატებოდა, ხოლო მიმდინარე წლის გეგმიანი დავალება 650 კილოგრამს უდრის.

რძის წარმოება 100 ჰექტარ მიწის სავარგულზე 1955 წელს 66 ცენტნერს მიაღწევს, ხოლო 1960 წელს—211 ცენტნერს; ხორცის წარმოება—1955 წელს — 21 ცენტნერს, ხოლო 1960 წელს — 44 ცენტნერს. 100 ჰექტარ სახნავზე 1955 წელს მიღებული იქნება 19 ცენტნერი, ხოლო 1960 წელს — 37 ცენტნერი ღორის ხორცი. მიმდინარე წელს კოლმეურნეობა გასასუქებლად დაიყენებს 280 სულ ღორს და დაამზადებს 280 ცენტნერ ხორცს, ხოლო 1960 წელს გასასუქებლად დაყენებული ღორების სულადობა 500-ს მიაღწევს. 1960 წელს ღორის ხორცის ხვედრითი წილი ხორცის საერთო წარმოებაში 54 პროცენტი იქნება.

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა პირუტყვის ჯოგისა და ფარის სტრუქტურის გაუმჯობესება. 1960 წლისათვის გვეყოლება 270 ძროხა ანუ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ჯოგის 50 პროცენტი. ძროხებს შორის 100 სული ჯიშიანი იქნება. ამ მიზნით 5-6 წლის განმავლობაში შევიძენთ 68 სულ მაღალპროდუქტიულ პირუტყვს, ამათგან 28-ს უკვე მიმდინარე წელს. 1960 წლისათვის ჯოგში მთლიანად ჯიშიანი და გაუმჯობესებული პირუტყვი გვეყოლება. ამასთან ფართოდ დავნერგავთ მეტიზაციას. ჯიშიანი ბუღა-მწარმოებლების უკეთ გამოყენების მიზნით მიმდინარე წელს მოვაწყობთ ხელოვნური დათესვლის პუნქტს. მეღორეობის საქმის შემდგომი გაუმჯობესებისათვის გადავწყვიტეთ უახლოეს წლებში მთლიანად ვიყოლეოთ მანგალიცის ჯიშის სუფთა და მეტიზებული თაობა.

გავზრდით ნამატის გამოსავლიანობასაც. ყოველ 100 სულ დედაპირუტყვზე 1960 წლისათვის მივიღებთ და შევინარჩუნებთ 97 სულ ხბოს, 100 ბატკანს, ყოველ დედაღორზე — 16 გოჭს.

გავაუმჯობესებთ პირუტყვის მოვლა-პატრონობას, დავნერგავთ მერძეული პირუტყვის ბაგურ-ბანაკურ შენახვას.

გაანვამჯობესებთ საკვებ ბაზას

კოლმეურნეობის განვითარების პერსპექტიული გეგმის შედგენის დროს გამგეობის წევრები, აქტივი, მეცხოველეობის ფერმების მუშაკები და სპეციალისტები ყურადღებას ამახვილებდნენ მტკიცე საკვები ბაზის შექმნის აუცილებლობაზე. ეს გასაგებიც არის: უხვი, მრავალფეროვანი და მაღალი კვებითი ღირებულების საკვები პროდუქტიულობის ამაღლების მთავარი პირობაა. ტყუილად კი არ არის ნათქვამი, „ძროხას რძე ენაზე აქვსო“. ამიტომ საკვების წარმოების გადიდების ღონისძიებებს პერსპექტიულ გეგმაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.

1955 წელს კოლმეურნეობის პირუტყვისათვის დამზადებული იქნება 2.800 ტონა უხეში საკვები, 1956 წელს — 3.100, 1960 წელს კი — 4.138 ტონა. მიმდინარე წელს დავამზადებთ 800 ტონა წვნიან საკვებს, 1960 წელს — 3.500 ტონას. დიდი რაოდენობით დავამზადებთ კონცენტრირებულ საკვებს, ბალახს მწვანე საკვებად და სხვ. ამას გარდა გეგმაში გავითვალისწინეთ შრომადღეებზე გავცეთ საკვები კოლმეურნეთა პირად საკუთრებაში მყოფი პირუტყვის უზრუნველსაყოფად.

შილდელმა კოლმეურნეებმა კარგად იციან სიმინდის — ამ ძვირფასი მარცვლეული და სასილოსე კულტურის ფასი. სიმინდი ჩვენს პირობებში, თუ კი მას მოვლა-დამუშავებას არ დავაკლებთ, საკმაოდ მაღალ მოსავალს იძლევა.

1954 წელთან შედარებით 1960 წელს სიმინდის საერთო მოსავალი ერთიორად და მეტად — 4.188 ცენტნერიდან 9.200 ცენტნერამდე გაიზრდება. შარშან ფაქტიურად მიღებული 19,8 ცენტნერის ნაცვლად მიმდინარე წელს ჰექტარზე მოვიყვანთ 28 ცენტნერს, ხოლო 1960 წელს — 40 ცენტნერ სიმინდს.

სიმინდის მარცვლისა და სასილოსე მასის რესურსების გადიდების მიზნით მიმდინარე წლიდან შემოვიღებთ ამ კულტურის თესვას ნაწვერალზე. წელს ნაწვერალზე დავთესავთ 90 ჰექტარ სიმინდს მწვანე საკვებად, ხოლო 30 ჰექტარს — სასილოსედ. სასილოსედ ნათეს სიმინდს ავიღებთ რძისფერ-ცვილისებრ სიმწიფეში. ცალ-ცალკე დავასილოსებთ ტაროებს და ღეროებს დაკუწული სახით. 1960 წლისათვის ნაწვერალზე დათესილი სიმინდის ფართობი ჩვენთან 300 ჰექტარამდე გაიზრდება.

სიმინდის მოსავლიანობა მკვეთრად რომ ავამაღლოთ, გამოვიყენებთ მისი მოყვანის აგროტექნიკის მოწინავე ხერხებს. სამარცვლედ განკუთვნილი სიმინდის მთელი ფართობის 60 პროცენტი წელს დაითესება კვადრატულ-ბუდობრივად, ხოლო ნაწვერალზე სიმინდი დაითესება მთლიანად ამ პროგრესული წესით. ამასთან მოეწყობა კვადრატულ-ბუდობრივად ნათესი ფართობების ორმხრივი კულტივაცია. უახლოეს წლებში გათვალისწინებულია სიმინდის თესვა მთლიანად ჰიბრიდული თესლით. ფართოდ იქნება გამოყენებული ხელოვნური დამტვერვა, რადგან გამოცდილებით ვიცით, რომ ეს ღონისძიება ჰექტარზე 5-6 ცენტნერით ადიდებს მოსავლიანობას.

სიმინდის საერთო მოსავალი 1960 წლისათვის მთლიანად უზრუნველყოფს პირუტყვს მარცვლეული ფურაჟით და დარჩება ნამეტი ფონდიც კოლმეურნეობის შინასაჭიროებისათვის.

დიდი ყურადღება მიექცევა წვნიანი და მწვანე საკვები რესურსების გადიდებას, ურომლისოდაც შეუძლებელია მეცხოველეობის პროდუქტიულობის შემდგომი გადიდება. თვითეულ საფურაჟე ძროხაზე დამზადდება 7 ტონა წვნიანი საკვები. გასულ წელთან შედარებით 1960 წელს თივქმის ერთიორად გაიზრდება საკვები კულტურების ნათესი ფართობი.

ჩვენი სამშენებლო პროგრამა

შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია

შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია მეცხოველეობის კულტურის ამაღლებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის მნიშვნელოვანი პირობაა. მაგრამ ეს საქმე ჩვენთან ჯერჯერობით ყველაზე ვიწრო უბანს წარმოადგენს. ამიტომ ჩვენ მტს-ის მექანიზატორებთან ერთად დავსახეთ მეცხოველეობის ფერმებში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის კონკრეტული ღონისძიებანი.

რას გავაკეთებთ კონკრეტულად?

წელს განვახორციელებთ წყალმომარაგების მექანიზაციას მეძროხეობის ფერმის სამ ბინაში, ხოლო ავტოდარწყულებას — მიმდინარე წელს 215 და 1957 წელს — 55 სული პირუტყვისათვის. 1959 წლამდე მთლიანად გადავალთ ძროხების ელექტროწველაზე, ხოლო წელს ცხვრის პარსვას მთლიანად მექანიზებული წესით ჩავატარებთ. 1960 წლამდე მოვაწყობთ შიდასაფერმე ტრანსპორტს მეცხოველეობის ექვს ბინაში, აქედან მომავალ წელს — ორ ბინაში.

კონცენტრირებული საკვების გადამუშავება (დაღერღვა) და უხეში საკვების დამუშავება იწარმოებს მექანიზებული წესით.

ახლო მომავალში გავაგრძელებთ ელექტროხაზს 8 კილომეტრზე ალაზნის პირას მდებარე მეცხოველეობის ბინების ელექტროფიცირების მიზნით.

განვავითაროთ მეურნეობის ყველა დარგი

ჩვენი კოლმეურნეობა მრავალდარგოვანი საზოგადოებრივი მეურნეობაა. კოლმეურნეობის შემოსავალში ყველაზე დიდი ხვედრითი წონა აქვს მევენახეობას. კოლმეურნეობის ვენახების ფართობი ამჟამად 149 ჰექტარს შეადგენს. მთელი ფართობის თვითეულ ჰექტარზე შარშან 54-ის ნაცვლად 60 ცენტნერი ყურძენი მივიღეთ. დიდი რაოდენობით მოგვყავს თავთავიანი კულტურები, მივდევთ მებაღეობას, მებოსტნეობას, მებაღჩეობას. ამიტომ ბუნებრივია, რომ გეგმაში მეცხოველეობის განვითარებასთან ერთად თავისი ასახვა ჰპოვა აღნიშნული კულტურებისა და დარგების პროდუქციის წარმოების გაფართოების ღონისძიებებმაც.

გადავწყვიტეთ ვენახების ფართობი უახლოესი 5-6 წლის მანძილზე 95 ჰექტარით გავადიდოთ და 1960 წლისათვის იგი 244 ჰექტარამდე ავიყვანოთ. ამავე წლისათვის ყურძნის საშუალო მოსავლიანობას ჰექტარზე გავზრდით 80 ცენტნერამდე. 15 ჰექტარით გავადიდებთ ბაღების ფართობს, ხოლო 19 ჰექტარით — თუთის პლანტაციას.

1960 წლისათვის 1954 წელთან შედარებით 1.574 ცენტნერით დიდდება ძვირფასი სასურსათო კულტურის — ხორბლის წარმოება და იგი 16.642 ცენტნერს მიაღწევს. წელს ჰექტარზე საშუალოდ მიღებული იქნება 16,5 ცენტნერი ხორბალი, მომავალ წელს — 18, ხოლო 1960 წელს — 22 ცენტნერი.

ხორბლის მოსავლიანობის გადიდებისათვის ხელსაყრელად გამოვიყენებთ ისეთ რეზერვს, როგორიც არის მოსავლის შემჭიდროებულ ვადებში აღება. ვკას ჩავატარებთ 10 სამუშაო დღეში.

ამიერიდან თავთავიანი მარცვლეული კულტურების მთელ ფართობს ვიწრო მწკრივად და ჯვარედინად დავთესავთ. გავაუმჯობესებთ ჯიშიან მეთესლეობას. მტკიცედ დავიცავთ თესვისა და ნათესების მოვლის აგროტექნიკურ ვადებს, მაქსიმალურად გამოვიყენებთ მინერალურ და ორგანულ სასუქებს.

უკანასკნელ სამ წლის განმავლობაში, განსაკუთრებით პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის შემდეგ, კოლმეურნეობაში ამ მხრივ ზოგი რამ გაკეთდა — 800 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისათვის აშენდა 3 კაპიტალური სადგომი, ავაგეთ ერთი სადგომი მეღორეობის ფერმისათვის და სხვ., მაგრამ, მიუხედავად ამისა, საერთო მდგომარეობა ჯერჯერობით მაინც არადამაკმაყოფილებელია.

ვამუშავებდით რა პერსპექტიულ გეგმას, დავსახეთ სამშენებლო პროგრამა, რომლის განხორციელება დააკმაყოფილებს ზოოტექნიკურ მოთხოვნებს, აამაღლებს მეცხოველეობის კულტურას, მეცხოველეებს შეუმსუბუქებს შრომას.



სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეთა მდიდარ გამოცდილებას. ყოველდღიურად ახალ წარმატებებს მივაღწევთ სოციალისტური შეჯიბრების დროშით.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ პერსპექტიული გეგმის წარმატებით განხორციელება ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ ვიმუშავებთ დღეს, კერძოდ, საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა პერიოდში, როცა საფუძველი ეყრება მიმდინარე წლის უხვ მოსავალს. ამიტომ ყოველმხრივ მოვემზადეთ საგაზაფხულო სამუშაოებისათვის, რის შედეგადაც ეს სამუშაოები წარმატებით მიმდინარეობს. უკვე დავთესეთ 110 ჰექტარი საადრეო კულტურები, ჩავატარეთ ნათესების საგაზაფხულო გამოკვება. წარმატებით მიმდინარეობს ვენახებსა და ხეხილის ბაღებში საგაზაფხულო სამუშაოები. მოვიმარაგეთ საჭირო ბოძები, სარი, უზრუნველყოფილი ვართ შაბიამნით. წარმატებით ვამთავრებთ პირუტყვის გამოზამთრებას. სანმუშოდ მიმდინარეობს ნამატის მიღება.

ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ უკვე მიმდინარე წელს მივაღწიოთ მკვეთრ გარდატეხას მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობის გადიდების საქმეში.

პერსპექტიული გეგმის შედგენა ყვარლის რაიონის სოფელ შილდის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობაში. სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ): მემინდვრეობის ბრიგადირი ელ. იმერლიშვილი, მეცხოველეობის ფერმის გამგე ი. ნიკოლოზიშვილი, გამგეობის წევრი რ. გიოშვილი, ბუხჰალტერი მ. ჯალალიშვილი, კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვ. ცისკარიშვილი, ზოოტექნიკოსი მ. მეჯლიშვილი, აგრონომი ვ. ტეხაშვილი.

ფოტო მ. თელიაშვილისა.

ყვარლის რაიონის სოფელ შილდის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობა:

ვ. ცისკარიშვილი, სოციალისტური შრომის გმირი (თავმჯდომარე), **ა. სალირაშვილი, ზ. კეკლიშვილი, ი. მირინაშვილი, რ. გიოშვილი, თ. როსტომაშვილი, ნ. ასაბაშვილი, რ. სალირაშვილი.**

საბჭოთა დელეგაცია საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შენელების საკითხთა აზიის კონფერენციაზე

როგორც უკვე ვიუწყებოდით, აპრილის დამდეგს დელში (ინდოეთი) გაიმართება საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შენელების საკითხთა აზიის კონფერენცია. მოელიან, რომ კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებენ აზიის ცამეტი სახელმწიფოს, მათ შორის საბჭოთა კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, ინდოეთის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის, იაპონიის, ინდონეზიის, ბირმისა და სხვა ქვეყნების საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

მოსამზადებელმა კომიტეტმა, რომელიც სსრ კავშირში შეიქმნა მომავალ კონფერენციასთან დაკავშირებით, გადაწყვიტა გაგზავნოს კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად დელეგაცია მწერალ ნ. ს. ტიხონოვის მეთაურობით. დელეგაციის შემადგენლობაში შედიან მწერლები ა. ე. კორნეიჩუკი, ვ. ლ. ვასილევსკაია და ი. გ. ერენბურგი, სრულიად საკავშირო სავაჭრო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ვ. ნესტეროვი, ჟურნალ „ოგონიოკის“ მთავარი რედაქტორი ა. ვ. სოფრონოვი, პროფესორი ნ. უ. ბაზანოვა (უაზახეთი), პოეტი მ. ტურსუნ-ზადე (ტაჯიკეთი), შუა აზიისა და უაზახეთის მუსლიმანთა სასულიერო სამართველოს პრეზიდიუმის წევრი ზიაუტდინ ბაბახანოვი, ყირგიზეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ი. კ. ახუნბაევი, პროფკავშირთა უზბეკეთის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე დ. ხოჯაევი და საბჭოთა საზოგადოებრიობის სხვა წარმომადგენლები.

31 მარტს საბჭოთა დელეგატების ნაწილი მოსკოვიდან დელს გაფრინდა. (საკდესი).

გაიხსნა აღბანეთის სახალხო კრების მეორე სესია

ტირანა, 31 მარტი. (საკდესი). დღეს ტირანაში გაიხსნა ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების მეორე სესია. სესიის სხდომას ესწრებოდნენ ალბანეთის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ენვერ ხოჯა, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მეჰმედ შეხუ, სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარე ხაჯი ლეში და შრომის პარტიის და მთავრობის სხვა ხელმძღვანელები, აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. პ. ტარასოვის მეთაურობით.

სტუმრებს შორის არიან სსრ კავშირის ელჩი ალბანეთში კ. დ. ლევიჩკინი და ტირანაში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები.

სესიის დღის წესრიგშია შემდეგი საკითხები: ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის საგარეო პოლიტიკა, 1955 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი და სხვ.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის მიმართვა მთელი მსოფლიოს მშრომელებისადმი

ვენა, 31 მარტი. (საკდესი). პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციამ გამოაქვეყნა შემდეგი მიმართვა მთელი მსოფლიოს მშრომელებისადმი:

მშრომელო მამაკაცნო და ქალნო!

1 მაისის გამო პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია გითვლით მხურვალე ძმურ სალამს და გისურვებთ ყოველივე კარგს.

უკანასკნელ წლებში თქვენ მამაცურ ბრძოლას ეწეოდით და ამჟამადაც ეწევით; თქვენ მოგელით აზალი ბრძოლები უკეთესი ცხოვრებისათვის, თავისუფლებისა და მშვიდობისათვის.

თქვენს შეშფოთებასა და ზრუნვას პურისა და სამუშაოსათვის დღეს დაერთო შეშფოთება მშვიდობისათვის, რომელიც საფრთხეშია.

მსჯავლი მონოპოლიები და მათს სამსახურში მყოფი მთავრობები, იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის აგრესორები ახლა ამკარად მოქმედებენ. ეს უკვე მარტო მუქარა როდია, ეს არის გამალებული მზადება აგრესიული ატომური ომისა იმ ქვეყნების წინააღმდეგ, სადაც აღარ არის ექსპლოატაცია, სადაც მშრომელები თვითონ არიან თავიანთი ბედისა და მომავლის ბატონ-პატრონები.

ცხოვრებისათვის მრავალი საჭირო მატერიალური ფასეულობა, რაც ადამიანის შრომით, მისი ხელითა და გონებით შექმნილა, მრავალ ქმნილება, რაც საუკუნეთა განმავლობაში წარმოშობილა, შეიძლება დაიხარეს. მილიონობით ადამიანთა სიცოცხლე შეიძლება მოისპოს. ათ ამიტომ მშრომელთა ფართო მასები ამჟამად უფრო მტკიცედ და დარაზმულად უნდა გამოვიდნენ ამ საფრთხის უშუალო გამომწვევთა და მათი დანაშაულებრივი პოლიტიკის წინააღმდეგ.

მშრომელო მამაკაცნო და ქალნო! შექმენით შრომისა და პროგრესის ძალთა ერთიანი და უძლეველი ფრონტი ატომური ომის მომზადების წინააღმდეგ, დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის წინააღმდეგ, ევროპასა და აზიაში ამერიკის იმპერიალიზმის სამხედრო პროვოკაციების წინააღმდეგ!

ჩვენ შეგვიძლია დავიცვათ ომის საფრთხისგან და კიდევაც უნდა დავიცვათ ყოველივე სასარგებლო და მშვენიერი, ყოველივე ის, რაც თქვენ, შრომის ადამიანებს შეგიქმნიათ.

ყველა ქვეყნის მშრომელთა ნებისა და მოქმედების ერთიანობა, ჩვენი ურღვევი სოლიდარობა ატომურ და წყალბადის ბომბებზე უფრო ძლიერია, ომის გამაფრთხილებელია ყველა ხრიკზე უფრო ძლიერია. დე 1 მაისის დღეს მსოფლიოს ყველა ქალაქში გაისმოდეს მილიონობით მშრომელთა მტკიცე გაფრთხილება.

მიაღწიეთ იმას, რომ ბრძოლა ცხოვრებისა და შრომის უკეთესი პირობებისათვის, პროფკავშირულ უფლებათა ქარტიის პრინციპების განხორციელებისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და მტკიცე მშვიდობისათვის გაჩღეს საერთაშორისო სოლიდარობისა და ძმობის ამ დიადი დღის ლოზუნგი! გაუმარჯოს 1 მაისს!

გაუმარჯოს ყველა მშრომელთა სოლიდარობასა და ერთიანობას!

გაუმარჯოს მშვიდობას!

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია.

ვენა, 1955 წლის 31 მარტი.

ჯირანას ჩავიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია

ტირანა, 31 მარტი. (საკდესი). დღეს ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების პრეზიდიუმის მოწვევით სახალხო კრების მეორე სესიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად ტირანას ჩამოვიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია, რომელშიც შედიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. პ. ტარასოვი (დელეგაციის ხელმძღვანელი) და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ტ. ი. არხიპოვა და მ. მ. ალიევი.

ტირანის აეროდრომზე, რომელიც მორთული იყო სსრ კავშირისა და ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ალმებით, დელეგაციას შეხვდნენ ალბანეთის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ენვერ ხოჯა, სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარე ხაჯი ლეში, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მეჰმედ შეხუ, ალბანეთის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურო წევრები ჰიუსნი კაპო, გოგო ნიში, ბექირ ბალუკუ, ლირი ბელიშოვა, სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეები პილო პერისტერი და მუსლიმ პეზა, საგარეო საქმეთა მინისტრი ბეჭარ შტიუნა, სახალხო კრების პრეზიდიუმის მდივანი სამი ბახოლი, სახალხო კრების პრეზიდიუმის წევრები, მთავრობის წევრები, სახალხო კრების დეპუტატები, მასობრივი და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

დელეგაციას შეხვდნენ აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი ალბანეთში კ. დ. ლევიჩკინი, საბჭოთა საელჩოს პასუხისმგებელი თანამშრომლები, ტირანაში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები.

შეხვედრის დროს ჩაშუკრიებული იყო სალბანური ყარაული. ორკესტრმა შეასრულა საბჭოთა კავშირისა და ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები. დელეგაციას მისასალმებელი სიტყვით მიმართა პილო პერისტერიმ. სპასუხო სიტყვა წარმოთქვა მ. პ. ტარასოვმა. დელეგაციისა და მთელი საბჭოთა ხალხის სახელით მან მხურვალე სალამი გადასცა ალბანელ ხალხს, უსურვა მას შემდგომი წარმატებები ახალი, ბედნიერი ცხოვრების მშენებლობაში და გამარჯვება უსურვა საბჭოთა და ალბანელი ხალხების სამარადისო და ურღვევ მეგობრობას.

დამთავრდა ამერიკა-იტალიის მოლაპარაკება

ვაშინგტონი, 31 მარტი. (საკდესი). გუშინ აქ დამთავრდა ამერიკა-იტალიის მოლაპარაკება, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ იტალიის მხრივ პრემიერ-მინისტრი შელბა და საგარეო საქმეთა მინისტრი მარტინო და ამერიკის შეერთებული შტატების მხრივ — პრეზიდენტი ეიზენჰაუერი, სახელმწიფო მდივანი დალესი, თავდაცვის მინისტრი ვილსონი და სხვა ოფიციალური პირები.

როგორც კომუნიკედან ჩანს, მოლაპარაკების მსვლელობაში დიდი ყურადღება მიაქციეს დასავლეთ ევროპის „შემდგომი ინტეგრაციის“ (გაერთიანების) პრობლემას შეერთებული შტატების მფარველობით, რომლებიც ცდილობენ დასავლეთ ევროპის ქვეყნები საბოლოოდ გადაქციონ თავიანთ ეკონომიურ და პოლიტიკურ დანამატად. მაგალითად, კომუნიკეში ნათქვამია, რომ მოლაპარაკების მონაწილენი შეთანხმდნენ, რომ „ევროპამ (იგულისხმება ატლანტიკის ბლოკის მონაწილე დასავლეთ ევროპის ქვეყნები. — რედ.) თავისი საკუთარი და საერთო ინტერესებისათვის უნდა განაგრძოს ცდები — მიაღწიოს კიდევ უფრო მეტ ეკონომიურ და პოლიტიკურ ერთიანობას“, ამასთან დალესმა „გასუცხადა პრემიერ-მინისტრსა და საგარეო საქმეთა მინისტრს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მიესალმებიან იტალიის შემდგომ ინიციატივას ამ მიმართულებით“.

დამახასიათებელია, რომ, სიტყვა წარმოთქვა ერნესტ ბევინმა, სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარე ხაჯი ლეში, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მეჰმედ შეხუ, ალბანეთის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურო წევრები ჰიუსნი კაპო, გოგო ნიში, ბექირ ბალუკუ, ლირი ბელიშოვა, სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეები პილო პერისტერი და მუსლიმ პეზა, საგარეო საქმეთა მინისტრი ბეჭარ შტიუნა, სახალხო კრების პრეზიდიუმის მდივანი სამი ბახოლი, სახალხო კრების პრეზიდიუმის წევრები, მთავრობის წევრები, სახალხო კრების დეპუტატები, მასობრივი და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილება

ბერლინი, 1 აპრილი. (საკდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრთან არსებული პრესის უწყება გადმოგვცემს, რომ გუშინ გაიმართა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა, რომელზეც პრემიერ-მინისტრმა ოტო გროტეველმა მთავრობის წევრებს მოახსენა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისათვის დრეზდენის სურათების გალერეის იმ სურათების გადაცემის შესახებ, რომლებიც საბჭოთა კავშირშია. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომელშიც იგი მთელი გერმანელი ხალხის სახელით დიდ მადლობას უძღვნის საბჭოთა მთავრობას.

დრეზდენის სურათების გალერეის კულტურულ ფასეულობათა გადარჩენა და გერმანელი ხალხისათვის მათი გადაცემა, ნათქვამია გადაწყვეტილებაში, გამოხატავს იმავე პოლიტიკას, რომელსაც საბჭოთა მთავრობა ახორციელებს 1945 წლიდან გერმანიაში დემოკრატიული აღდგენისათვის მხარდაჭერის საქმეში და გერმანული კულტურის განვითარებაში. დრეზდენის სურათების გალერეის სურათების გადმოცემა საჩუქარია მთელი გერმანელი ხალხისათვის. ამის გამო დრეზდენი კვლავ ხდება გერმანიისა და ევროპის მნიშვნელოვანი კულტურული ცენტრი.

დასასრულ გადწყვეტილებაში ხაზგასმით აღნიშნულია:

„გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სსრ კავშირის მთავრობის ეს გადაწყვეტილება მიაჩნია მთელი გერმანელი ხალხისადმი ამ გულწრფელი მეგობრობის ახალ დადასტურებად, რომელმაც გამოხატულება ჰპოვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებაში გერმანიასთან ომის მდგომარეობის შეწყვეტის შესახებ. დრეზდენის სურათების გალერეის სურათების გადმოცემა გამოხატავს მტკიცე რწმენას, რომ ომის ყველა გამჩაღებლის წინააღმდეგ ევროპის მშვიდობიან შენარჩუნებულ იქნება და რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა გერმანიის მშვიდობიანი და დემოკრატიული გაერთიანებისათვის ბრძოლით თავის წვლილს შეიტანს ამ საქმეში“.

მდგომარეობა სამხრეთ ვიეტნამში

პარიზი, 31 მარტი. (საკდესი). პარიზის პრესის ცნობებით, მდგომარეობა საიგონში კვლავ დაძაბულია. თუმცა ბრძოლა ქალაქის ქუჩებში შეწყდა, მაგრამ მთავრობის ჯარები და სექტების შეიარაღებული რაზმები კვლავ ამგრეშენ თავიანთ პოზიციებს, თხრიან ნაგრებებს, აწყობენ ბარიკადებს და მოჰყავთ მაშველი ძალები. „ბინ-ქსიუენის“ სექტის შეიარაღებული რაზმების გაჯარგულებაშია ტანკები, ქვეითნები და ძმიე ტყვიამფრქვევები.

ამერიკის სამხედრო მისიის მეთაურის გენერალ კოლინსის რეზიდენციას ჯავშანსატანკო რაზმი იცავს.

იუწყებიან, რომ სამხრეთ ვიეტნამის დასავლეთ ნაწილში სერიოზული ბრძოლები წარმოუვლია „ხოა-ხაოს“ სექტის 15-ათასიან არმიასა და მთავრობის ჯარებს შორის. კომუნიკაციების ხაზი საიგონსა და დასავლეთ პროვინციებს შორის ფაქტიურად გაწყვეტილია. „ხოა-ხაოს“ რაზმები კონტროლს უწევენ გზებს.

პარიზი, 31 მარტი. (საკდესი). საიგონიდან მიღებული ცნობებით, რელიგიური სექტების ერთიანი ფრონტი, რომელიც შეიქმნა ნგო დინ დიემის მთავრობის წინააღმდეგ სახრძოლველად, დღეს გაითიშა იმის შედეგად, რომ „კაო-დაის“ სექტის სარდლობა 25-ათასიანი არმიით ნგო დინ დიემის მხარეზე გადავიდა.

ამავე დროს „ხოა-ხაოს“ და „ბინ-ქსიუენის“ სექტების ლიდერები დღეს დილით გადაწერილ მოითხოვდნენ გაგრძელდეს ბრძოლა ნგო დინ დიემის მთავრობის წინააღმდეგ.

ფრანს პრესის საგენტო საიგონელმა კორესპონდენტმა გადმოსცა ცნობა, რომელშიც ნათქვამია, რომ ბაო დაი დათანხმდა ... სექტების წარმომადგენელ მინისტრთა გადადგომაზე, რომლებიც მთავრობის შემადგენლობიდან გავიდნენ, და დაამტკიცა თავდაცვის სამინისტროს გადაცემა პრემიერ-მინისტრ ნგო დინ დიემის განმგებლობაში.

რუმენეთ სიკორას ოსტატობა

მრავალ ნაწარმოებთა დიდოსტატ ... სახელმწიფო ესტრადის მსახიობის რუმენეთ სიკორას კონცერტებს თბილისის ოფიციერთა სახლში, რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზში და გორში.

რ. სიკორა ერთნაირი ოსტატობით ასრულებს როგორც ხალხურ სიმღერებს, ისე საბჭოთა კომპოზიტორებისა და სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების კომპოზიტორების ნაწარმოებებს.

სასიამოვნო ტემბრის ხმის მქონე ნიჭიერი მომღერლის შესრულებას ახასიათებს ლირიულობა და ემოციურობა. მსმენელთა მოწონება დაიმსახურა რ. სიკორას მიერ შესრულებულმა სიმღერებმა, რომელთა შორის აღსანიშნავია ნოვიკოვის „ერთგულება“, სლონიმოვის „ვარსკვლავთა შუქი“ და სხვ. მსუბუქ იუმორითა და ოსტატობით შეასრულა მან ჩეხური ხალხური სიმღერა „წუნია სპასტაკელო“, პოლონური ხალხური სიმღერა „ტყეში“, აგრეთვე კომპოზიტორ ვ. გორიშნიკის „რას მიყურებ“.

კონცერტების წარმატებას ხელს უწყობს საესტრადო კვარტეტი, რომლის შემადგენლობაში არიან მ. პოდსვირინოვი, გ. რეზნიკენი, ნ. მუსოლინი და ო. მოგილინი.

სსრ კავშირის ზამთრის პირველობა კალათბურთში

სტალინგრადში გრძელდება ფინალური ასპარეზობა კალათბურთში სსრ კავშირის 1955 წლის ზამთრის პირველობაზე. დასკვნითს შეჯიბრებაში ერთმანეთს ბსახიობის რუმენეთ სიკორას კონცერტებს თბილისის ოფიციერთა სახლში, რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზში და გორში.

ბალტიკისპირეთი — ... 78:62, ლენინგრადი-ესტონეთი 54 : 52, საქართველო-მოსკოვი 51 : 76; ვაჟთა გუნდები — მოსკოვი-რსფსრ 78 : 65, ლენინგრადი-ესტონეთი 76 : 61, საქართველო-ლატვია 49 : 54.

31 მარტს გაიმართა მორიგი შეხვედრები. საქართველოს ქალთა გუნდმა მოუგო უკრაინის კალათბურთელებს ანგარიშით 66 : 59. მეორე გამარჯვება მოიპოვა მოსკოვის გუნდმა, რომელმაც დაამარცხა ლენინგრადის კალათბურთელთა კოლექტივი 64 : 63. ესტონეთის გუნდმა მოუგო ბელორუსიის კალათბურთელებს 56:54 ვაჟთა გუნდების შეხვედრათა შედეგი ასეთია: ესტონეთი-ლიტვა 65 : 71, ლენინგრადი-რსფსრ 80 : 38, მოსკოვი-საქართველო 75:67.

დინამოელთა მორიგი გამარჯვება

თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა კოლექტივმა სოხუმში დამამთავრა ერთთვიანი შეკრება. მორიგი ამხანაგური შეხვედრა დინამოელებმა გამართეს 30 მარტს სარატოვის „ენერგიის“ გუნდთან. შეჯიბრება დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით ანგარიშით 4 : 0.

ამრიგად, ავიაზღვისპირა სტადიონებზე გამართულ 7 შეხვედრიდან ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის დინამოელებმა შვიდივე მოიგეს და გუშინ თბილისში დაბრუნდნენ.

საბჭოთა არმიის მიერ უნგრეთის განთავისუფლების 10 წლისთავი. სადმი მიძღვნილი საღამო

საქართველოს უცხოეთთან კულტურულ ურთიერთობის საზოგადოება 4 აპრილს თბილისს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში აწყობს საბჭოთა არმიის მიერ უნგრეთის განთავისუფლების 10 წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოს.

მოხსენებას „10 წელი უნგრეთის განთავისუფლების შემდეგ“ გააკეთებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი გ. ს. ახვლედიანი. დასასრულ გაიმართება კონცერტი თბილისის ხელოვნების ოსტატთა მონაწილეობით.

თეატრის ფოიეში მოეწყობა გამოფენა, რომელიც ასახავს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მიღწევებს. (საკდესი).

რედაქტორი ნ. ჯაში.

ღ ე ს

თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — აიდა (ვ. დავიდოვის მონაწილეობით), **რუსთაველის სახელობის** — ყაჩაღები, **მარჯანიშვილის სახელობის** — მაია წყნეთელი, **გრიბოედოვის სახელობის** — პორტ-არტური, **სომხური დრამის** — კაჩო, **მუსიკალური კომედიის** — სალზინობელი, **მოზარდ მაყურებელთა რუსული**—პოლკის შვილი (10 ს.), **ბედნიერ ეუჩაზე** (7 ს.).

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ამირანი — წარმოდგენა შედგება, **კომკავშირელი, დიდუბე, ოფიცერთა სახლი** — ზღვის მონადირე, **26 კომისრის სახელობის, კოლხიდა, ვოროშილოვის სახელობის კლუბი** — ახალი მხატვრული ფილმი, **თბილისი, ისანი, პლეხანოვის სახელობის კლუბი** — ფრონა, **სპარტაკი, გორკის სახელობის კლუბი** — ფესტივალი, **ოქტომბერი** — თეთრი ფაფარი და სტუმრები ინდოეთიდან, **კოლმეურნე** — ისინი ჩამოვიდნენ მთიდან, **კიროვის სახელობის პარკი** — ისინი ხუთნი იყვნენ, **ძერჟინსკის სახელობის კლუბი** — ვენის საყვარელი მსახიობი, **კომუნარების ბაღი** — სკანდალი კლუბში.

ბავშვი ვერა ხალვაში ოჯახით იუწყება ფედოსი ტარიელის ასულ ხალვაშის გარდაცვალებას. გამოსვენება 3-IV, 2 ს. ლერმონტოვის ქ. № 24.

ბავშვი სირანა პაპიკიანი ოჯახით იუწყება ილია ელეფთერის-ძე ზურაბიშვილის გარდაცვალებას. გამოსვენება 3-IV, 2 ს. წეროლოთა სახლიდან, მაჩაბლის ქ. № 13.

მეუღლე კლიმენტი, შვილები რევაზ, ლატავრა, თამარ იუწყებიან ნადია ბესარიონის ასულ თურქია-სანიკიძის გარდაცვალებას. დაკრძალვა 5-IV ქ. ცხაკაიაში. გამოსვენება ცხაკაიას ქ. № 10.

მეუღლე გაბო, შვილები ნუნუ, დალი იუწყებიან მარო დარჩოს ასულ ვართანოვა-ბენაშვილის გარდაცვალებას. პანაშვიდი 2-IV, 6 ს. გამოსვენება 3-IV, 5 ს. ჩარის შესახ. № 11.

დები ნინო, მთიკო, ძმები გიორგი, ნიკოლოზ ოჯახებით იუწყებიან გრიშა ყარამანის-ძე ყიფიანის გარდაცვალებას. პანაშვიდი 2-IV, 8 ს. გამოსვენება 3-IV, 2 ს. ნინოშვილის ქ. № 10.

შვილები ანა, ოლია, ეკატერინე, ვლადიმერ, შალვა, ამბროსი ოჯახებით იუწყებიან ნატალია ანტონის ასულ ციციშვილის გარდაცვალებას. დაკრძალვა 2-IV სოფელ არაშენდაში (ავჩალის რაიონი).

დედა ანეტა, მეუღლე თინა, შვილები ნელი, კონტა, ვაჟა იუწყებიან გიორგი კონსტანტინეს-ძე ჯაფარიძის გარდაცვალებას. პანაშვიდი 2, 3-IV, 8 ს. ბინაზე, ენგელსის ქ. № 58. 4-IV, 8 ს. — საოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში. გამოსვენება 5-IV, 5 ს. ინსტიტუტის შენობიდან.

მეუღლე ეკატერინე, შვილები ალექსანდრე, სუსანა, მარიამ, ნუნუ, ნიესია ოჯახებით იუწყებიან ივგორ მიხეილის-ძე მინასაშვილის გარდაცვალებას. პანაშვიდი 2, 3-IV, 8 ს. გამოსვენება 5-IV, 5½ ს. ბრიგადირის ქ. № 21.

მოქალაქე ნელი ვასილის ასულმა გერასიმამ, მცხოვრებმა მოსკოვის შესახ. № 11 აღძრა საქმე კამოს ქ. № 79 მცხოვრებ მოქალაქე იური ოსების-ძე ანშილევთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის სტალინის რაიონის მე-5 უსნის სახალხო სასამართლო.

შვილები მერაბ, სანდრო, ზიზო, გენო, ქეთო, სონია, მადლენა ჯალიაშვილები იუწყებიან ნინო ოსების ასულ პეტრიაშვილი-ჯალიაშვილის გარდაცვალებას. პანაშვიდი 2-IV, 8 ს. გამოსვენება 3-IV, 4 ს. ყირიმის ქ. № 8.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. **ტელეფონები:** რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88. **ტელეფონები. განყოფილებებისა:** პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, ჰრესის მიმოხილვის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-13, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა შენებლობის, კორესპონდენტთა ჭესელისა და პარტბიუროსი — 3-57-61, ადგილობრივი და უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილების — 3-73-24, განცხადებების მიღებისა—3-51-81, გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის დირექტორის—3-65-41, სტამბის დირექტორის—3-77-70.

УЦ 00366

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.

დანიური ლიტერატურის კლასიკოსი

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სტოკჰოლმის სესიის გადაწყვეტილებით წელს აპრილში მთელი პროგრესული კაცობრიობა აღნიშნავს დანიური ლიტერატურის კლასიკოსის, დემოკრატის, ჰუმანისტისა და მხატვრული სიტყვის დიდი ოსტატის ანდერსენის დაბადების 150 წლისთავს.

ჰანს კრისტიან ანდერსენი მეცხრამეტე საუკუნის მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელია. მისი ზღაპრები დიდიხანია შევიდა მსოფლიო საბავშვო ლიტერატურის საგანძურში, როგორც მხატვრული სიტყვის ფრიად თავისებური და უკვდავი ნიმუშები.

1875 წელს დანიის ხალხმა ზეიმით აღნიშნა ანდერსენის დაბადების 70 წლისთავი. ხალხის სიყვარული ანდერსენმა დაიმსახურა თავისი უანგარო შემოქმედებითი ცხოვრებით, რისი მიზანიც, მისივე თქმით, იყო „ლტოლვა მარად ნათელის, მარად მშვენიერისაკენ“.

ანდერსენის კალამს ეკუთვნის მრავალი ლექსი, კომედია, პოემა, რომანი და სხვ., მაგრამ მწერალს მსოფლიო აღიარება მოუპოვა მისმა ზღაპრებმა, რომელთა პირველი კრებული 1835 წ. გამოიცა. პირველ გამოცემას ეწერა „ბავშვებისათვის“, მაგრამ თვით ავტორი ამბობს, რომ ის წერდა არა მარტო ბავშვებისათვის, არამედ მოზრდილთათვისაც. მართლაც, ანდერსენის ზღაპრები ჩვეულებრივი ზღაპრებისაგან დიდად განსხვავდება თავისი სპეციფიკით. მასში ბავშვი იპოვნის საინტერესო საკითხავს, მოზრდილი კი — ჯანსაღ, ცოცხალ ირონიას, ცხოვრების ფილოსოფიას, ალეგორიულ აზრს.

დიალექსი ამბობდა: „ყველაფერს მარჩენია ანდერსენის ღიმილი“. ეს ღიმილი, უალრესად ლირიკული და მეფად უბოროტო, თან გასდევს ანდერსენის მთელ შემოქმედებას. ანდერსენს ხელი ჰქონდა შაბისის, ძმების გრიმების, ჰოფმანის ზღაპრების მდიდარი გამოცდილება. მის თვალწინ იყო გადაშლილი ხალხური შემოქმედების მთელი ზღვა, საიდანაც კრეფდა თავის მარგალიტებს; ანდერსენის სამშობლო — კუნძული ფიუნი მდიდარი იყო ძველი საგმირო, გადმოცემებით, სიმღერებით, რაც მან უხვად გამოიყენა... მაგრამ ყოველივე ამაში მან შეიტანა ჯადოსნური, მხიარული, ნათელი, ანდერსენისეული ღიმილი. ის არ აფრთხობს ბავშვის გონებას ზღაპრული ურჩხულებითა და ვინაკებით. ფანტასტიკა მისთვის მხოლოდ ხერხია რეალურის გადმოსაცემად. მის ზღაპრებში სოციალ მთლიანობაშია ფანტასტიკური და რეალური, ბევრი მათგანი არც არის ზღაპარი, არამედ რეალისტური თანადროული ნოველა. მათში დასმულია საჭირბოროტო, სადღეისო საკითხი. თუ ზღაპრებში ჩვეულებრივ წინწამოწეულია ჯადოქრობა, სუფეტის მრავალფეროვნება, ანდერსენისათვის მთავარია არა ფაბულა, არამედ თვით თხრობა, თავისებური სტილი, ნათელი იუმორი, ალეგორიული აზრი, რაც საზრდოს აძლევს გულსაც და გონებასაც, ბავშვსაც და მოზრდილსაც.

ცხოვრებაზე ღრმა დაკვირვებით განსწავლული პოეტი ფაქიზად ეხება სულის უნაზეს ხვეულებს, ალაპარაკებს საგნებს. ცხოველებისა და მცენარეთა ცხოვრებას ის აღწერს ღრმა სიყვარულით, როგორც მეცნიერი.

ანდერსენი მთელი სიცოცხლის მანძილზე იბრძოდა ხალხთა მეგობრობისათვის. მის მსოფლმხედველობასთან შეუთავსებელია უაზრო ომი და ხოცვა-ჟლეტა. „როგორ მინდა მალე დამთავრდეს ომი, — წერდა ის 1848 წელს. — მინდა ვიხილო თავისუფალი ადამიანები, რომლებიც ერთიანობასა და მეგობრობაზე ფიქრობენ“. მისი თქმით, „ომი საზიზღარი ურჩხულია, რომელიც ადამიანთა სისხლითა და აკვამლებული ქალაქებით ცხოვრობს“.

დიდ ჰუმანისტს სწამდა ევროპის მომავალი, ხალხთა მშვიდობა: „ერებს — თავიანთი უფლებები, ყოველივე კეთილსა და სასარგებლოს — აყვავება! ეს უნდა გახდეს ევროპის ლოზუნგი. მე იმედით შევცქერი მომავალს“. მოხუცი ანდერსენი წერდა: „საფრანგეთის ომი გულზე მაწვება და ტკივილს მაყენებს... მე ვხედავ, როგორ მიყრიან ტანში ხიშტებს, ვხედავ ალში გახვეულ ქალაქებს, ჩემი ახლობელი ადამიანების სასიკვდილო კრუნჩხვას“.

ანდერსენის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მეცნიერებისა და ხელოვნების პრობლემას. დიდი პოეტი-ჰუმანისტი აღტაცებით უმდერის მეცნიერებას, რომელიც „ეშმაკიტების სხივით ანათებს სამყაროს“, სწამს ხალხის ძალა „ეკოლრიობის დიდ პროგრესის გზაზე“ და ზღაპრული გველეშაპის ნაცვლად ადიდებს „დიდ საზღვაო გველეშაპს“ — ოკეანის ფსკერზე გაყვანილ ტელეგრაფის კაბელს. მისი საყვარელი გმირებია ჰომეროსი, ფირდოუსი, გალილეი, ფულტონი...

ხელოვნება პროგრესს უნდა ემსახურებოდეს, უნდა ასახოს სინამდვილე, მოგვიტანოს „ერთლროულად სიამოვნება და სარგებლობა“... პოეტი ყოველდღიური ცხოვრების მონაწილე უნდა იყოს — ასეთია მოკლედ ანდერსენის ესთეტიკური თვალსაზრისი.

ბრავალ ზღაპარსა და ლექსში ანდერსენმა ჩააქსოვა თავისი ჯანსაღი პატრიოტული ნაკლი. მისი მშვენიერი ზღაპრები დამძიმებულია ქრისტიანული მორალით. ცხოვრების ბნელი მხარეები შემთხვევითი ამბავი ჰგონია... და საერთოდ ანდერსენი „მეტად გულკეთილია“, არ ძალუძს უსამართლობის დასამხობად ბრძოლისაკენ მოუწოდოს თავის მკითხველებს, მაგრამ ეს ჩრდილს არ აყენებს ანდერსენის როგორც დიდი პოეტისა და ჰუმანისტის დამსახურებას კაცობრიობის წინაშე. მისი უმთავრესი ნაკლოვანებანი, ისევე როგორც მისი დადებითი რომანტიზმი, მისი სიმბოლოს—დანიის ჩამორჩენილობით აიხსნება.

ანდერსენი დიდ პატივს სცემდა რუს ხალხს, რუსულ